ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13252243**

თარიღი:**12/08/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით, 5 წლის ვადით, გადასცეს სსიპ „მუნიციპალური განვითრების ფონდი’’-ს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ახალციხეში, გამრეკელის ქ. N19 ა-ში (ს.კ 62.09.54.650) მდებარე: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 34096კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით;

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი